გურანდა ჭელიძე

SNSPA- პოლიტიკური მეცნიერებებისა და საჯარო მმართველობის ეროვნული უნივერსიტეტი, რუმინეთი

,,Erasmus+ აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, 15-19 აპრილს ვიმყოფებოდი ბუქარესტში, პოლიტიკური მეცნიერებებისა და საჯარო მმართველობის ეროვნულ უნივერსიტეტში.

ვიზიტის ფარგლებში, პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტის, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისთვის წავიკითხე სალექციო კურსი თემაზე: „ევროინტეგრაციული პროცესები საქართველოში“. ასევე შევხვდი ფაკულტეტის პროფესორებს, შეხვედრისას განვიხილეთ სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

გარდა ამისა, შესაძლებლობა მქონდა შევხვედროდი ბუქარესტის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებს. ვისაუბრეთ უნივერსიტეტების აკადემიურ პროგრამებს შორის თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების სამომავლო პერსპექტივების შესახებ.’’